



ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) [2023 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება \(მეორე პალატა\) KT and NS v FTI Touristik GmbH, Case C-396/21; ECLI:EU:C:2023:10](#)

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„18 განმხილველი სასამართლოს კითხვა ეხება იმას, უნდა განიმარტოს თუ არა დირექტივის 2015/2302 მე-14(1) მუხლი, თავისი არსით, იმგვარად, რომ ტურისტს მიეცეს ტურისტული პაკეტის ღირებულების შემცირების უფლება, როდესაც პაკეტში შეტანილი ტურისტული მომსახურების შეუსაბამობა გამოწვეულია იმ შეზღუდვებით, რომლებიც დაწესებულია აღნიშნული ტურისტის დანიშნულების ადგილზე ინფექციური დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლით და მსგავსი შეზღუდვები დაწესებულია როგორც ტურისტის საცხოვრებელ ადგილზე, ისე სხვა ქვეყნებშიც აღნიშნული დაავადების გლობალური გავრცელების გამო.“

[...]

„20 პირველ რიგში, რაც შეეხება დირექტივის 2015/2302 მე-14(1) მუხლს, აღნიშნული დებულება ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტურისტს ჰქონდეს ღირებულების შესაბამისი შემცირების უფლება ნებისმიერი იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც სახეზე იყო მომსახურების შეუსაბამობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტუროპერატორი დაამტკიცებს, რომ შეუსაბამობა თავად ტურისტმა გამოიწვია.“

[...]

„23 აღნიშნული დებულება ითვალისწინებს ტურისტული პაკეტით მოსარგებლე ტურისტის უფლებიდან მხოლოდ ერთ გამონაკლისს, კერძოდ, იმ შემთხვევას, როდესაც შეუსაბამობას თავად ტურისტი იწვევს. ამ გამონაკლისის ცალსახა მნიშვნელობისა და ნებისმიერი გამონაკლისის მკაცრად განსაზღვრული ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, აღნიშნული გამონაკლისი ვერ გავრცელდება სხვა შემთხვევებზე, გარდა იმისა, რომელშიც შეუსაბამობას თავად ტურისტი იწვევს.“

[...]

„24 შესაბამისად, დირექტივის 2015/2302 მე-14(1) მუხლის ზედმიწევნით ზუსტი განმარტებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ პაკეტში მოცემული ტურისტული მომსახურებების ვერშესრულება ან არასათანადო შესრულება ყველა გარემოებაში აძლევს შესაბამის ტურისტს ღირებულების შემცირების უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვერშესრულებას ან არასათანადო შესრულებას თავად ტურისტი იწვევს. ის ფაქტი, რომ ტურისტული მომსახურებების შეუსაბამობას იწვევს ტუროპერატორი ან აღნიშნული ტურისტის გარდა სხვა პირი, ან იგი განპირობებულია ტუროპერატორის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებებით, როგორცაა „გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები“ დირექტივის მე-3(12) მუხლის მნიშვნელობით, არ ახდენს გავლენას ტურისტის მიერ ღირებულების შემცირების უფლებით სარგებლობაზე.“

[...]

29 [...] რაც შეეხება დირექტივის 2015/2302 მიზანს, ამ დირექტივის 1-ელი მუხლიდან გამომდინარე ცხადია, რომ მისი მიზანია ხელი შეუწყოს, *მათ შორის*, მომხმარებელთა დაცვის მაღალ დონეს. ამგვარად, აღნიშნული დირექტივის მე-14(1) მუხლის ზედმიწევნით ზუსტ განმარტებას განამტკიცებს ასევე აღნიშნული დებულებების ტელელოგიური განმარტება. **მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტურისტული მომსახურების მიღებისას ნებისმიერი შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში ტურისტებისთვის ღირებულების შემცირების მოთხოვნის უფლების მინიჭებით, მიუხედავად შეუსაბამობის მიზეზისა და იმისა, თუ ვინ გამოიწვია იგი, ხოლო ამ უფლებიდან ერთადერთ გამონაკლისად უნდა დადგინდეს გარემოება, როდესაც შეუსაბამობას თავად ტურისტი იწვევს.**

მოკლე მიმოხილვა:

საქმე ეხებოდა ტურისტების მიერ ტურისტული პაკეტით სარგებლობას გრან-კანარიაზე, რომლის მიმდინარეობისას დანიშნულების ადგილზე COVID-19-ის გავრცელების გამო დაწესდა მკაცრი შეზღუდვები - დაიხურა პლაჟები და აუზები, შეიზღუდა გადაადგილება და დაწესდა კომენდანტის საათი. აღნიშნულ პირობებში ტურისტებმა მიიჩნიეს, რომ მიღებული მომსახურება არ შეესაბამებოდა წინასწარ შეთანხმებულ პირობებს და მოითხოვეს პაკეტის ღირებულების შემცირება.

აღნიშნულ საკითხზე გერმანიის ეროვნულმა სასამართლომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა წინასწარი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ფარგლებში, რათა დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა ტურისტს უფლება მოეთხოვა ტურისტული პაკეტის ღირებულების შემცირება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომსახურების შეუსაბამობა გამოწვეული იყო არა ტუროპერატორის ბრალეულობით, არამედ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIX დანართი
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის დირექტივა 2015/2302 „საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2015/2302 მე-14(1) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს კანონი „ტურიზმის შესახებ“, 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი (სარეგისტრაციო კოდი: 460070000.05.001.102213; 14/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	ღირებულების შემცირება და ზიანის ანაზღაურება
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2024 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება (მეორე პალატა) M. D. v 'Tez Tour' UAB, Case C-299/22; ECLI:EU:C:2024:181

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.